

ადგილობრივი

№	გრანტის გამცემი	გრანტის დასახელება	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტის ხელმძღვანელი / კოორდინატორი	მოცულობა (თანხა)	სტატუსი დასრულებული/ მიმდინარე	გრანტის კოდი
1	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თერმო-ელექტრო-მაგნიტო დრეკადობის თეორიის დინამიკის შერეული საკონ-ტაქტო ამოცანების მათემატიკური ანალიზი და მასთან დაკავშირებული ურთიერთქმედების ამოცანები სხვადასხვა განზომილებიანი ველებისათვის	25.02.2019-25.10.2021	დავით ნატროშვილი / ოთარ ჭკადუა	160 000 GEL	დასრულებული/	FR-18-126
2	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ინვარიანტული ზომები ალგებრულ-ტოპოლოგიურ სტრუქტურებზე და მათი გამოყენებები	2019-2022	ა. კირთაძე	205 800	დასრულებული	FR-18-6190
3	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ახალი მიდგომები თანამედროვე ანალიზში მეტრიკულ სივრცეებზე, მრავალგანზომილებიან და გამოყენებით ჰარმონიულ ანალიზში.	22.02.2019-21.02.2022	ვახტანგ კოკილაშვილი	203500 ლარი	დასრულებული	FR-18-2499

		გამოყენებები კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებებში					
4	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ინტეგრალური ოპერატორები არასტა- ნდარტულ ფუნქციურ სივრცეებში; ფურიეს ანალიზისა და ვეივლეტების თეორიის ახალი ასპექტები	13.12.2018- 12.12.2021	როსტომ გეწაძე	199470 ლარი	დასრულებული	DI-18-118
5	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ბლანტი დრეკადი დინამიკისა და არაწრფივი რხევის ზოგიერთი საკონტაქტო და სასაზღვრო ამოცანა	15.03.2022- 15.03.2025	ნუგზარ შავლაყაძე	222 000 ლარი	მიმდინარე	FR-21-7307
6	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მაქსველის სისტემაზე დაფუძნებული დიფერენციალური და ინტეგრო- დიფერენციალური არაწრფივი მოდელების გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა	15.03.2022- 15.03.2025	თემური ჯანგველაძე	239 200 ლარი	მიმდინარე	FR-21-2101

7	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზომის გაგრძელების ამოცანის სიმრავლურ-თეორიული ასპექტები	2021-2023	მარიამ ბერიაშვილი	57000 ლარი	მიმდინარე	YS-21-1667
8	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	სპექტრული და ენერგოეფექტური კოდირებული მოდულაციის სისტემების შემუშავება დაბალი განხორციელების სირთულით მოწყობილობებს შორის კომუნიკაციისთვის მრავალანტენიანი ტექნოლოგიების გამოყენებით	2020-2023	სერგო შავგულიძე	187 600 ლარი	დასრულებული	FR-19-105
9	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სისტემების საიმედოობის გაზრდის ახალი სტოქასტური მოდელების შემუშავება დედამიწის ატმოსფეროში გაფანტული ელექტრომაგნიტური ტალღების სტატისტიკური	2022-2024	სერგო შავგულიძე	140 000 ლარი	მიმდინარე	STEM-22-340

		მომენტების გამოკვლევა და მათი გამოყენება.					
10	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ბორის შემცველი კომპლექსის შემუშავება ლიგატურული მრავალფუნქციური შენადნობისთვის ფოლადის წარმოების ნარჩენების ბაზაზე მაღალტემპერატურული სინთეზისა და მეტალურგიის მეთოდით	2022-2024	გიორგი ჯანდიერი/ნინო მჭედლოშვილი		მიმდინარე	FR-21-316
11	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მრავალფუნქციური შენადნობებისათვის ბორშემცველი კომპლექსური ლიგატურის შემუშავება ფოლადსაგლინავი წარმოების ნარჩენების ფუძეზე მაღალტემპერატურული სინთეზისა და მეტალურგიის მეთოდებით	2022-2024	ლევან ჩხარტიშვილი	140000 ლარი	მიმდინარე	STEM-22-761
12	შოთა რუსთაველის ეროვნული	ფერომაგნიტური კლასტერებით დოპირებული ბორის ნაერთების	2022-2023	შოი მაქაცარია (ლევან ჩხარტიშვილი –	21000 ლარი	მიმდინარე	PHDF-22-1299

	სამეცნიერო ფონდი	ნანოფხვნილების მიღება და სტრუქტურულ-მორფოლოგიური დახასიათება		დოქტორანტის ხელმძღვანელი)			
13	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ფართო ზოლიანი ნახევარგამტარული ნანომასალების სინთეზი და კვლევა UV ფოტოდეტექტორებში გამოყენებისთვის	2018–2021	ალექსანდრე ჯიშიაშვილი ლევან ჩხარტიშვილი	839540 ლარი	დასრულებული	AR-18-1045
14	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მომრავი ობიექტის იდენტიფიკაცია რეალურ დროში	28/11/ 2022- 28/10/2024	ლილი პეტრიაშვილი	180000 ლარი	მიმდინარე	AR-22-668
15	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ოპტოსენსორი ელექტრო მუსიკალური ინსტრუმენტი დისტანციური მართვის საშუალებით	26.09.2022 5.04.2023	ზაალ აზმაიფარაშვილი, ილია მოსაშვილი	12 000 ლარი	დასრულებული	SCR-22-355
16	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლაბორატორიული ბიოკამერა მიკროპროცესორული კონტროლით	30.09.2020 10.04.2023	ნონა ოთხოზორია ირაკლი სტეფნაძე	12 000 ლარი	დასრულებული	SCR-22-425

17	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ბლოკჩეინზე დაფუძნებული ბიომეტრიული საარჩევნო სისტემის შემუშავება და კვლევა	2018-2020	არჩილ ფრანგიშვილი ლევან იმნაიშვილი	25450 ლარი	დასრულებული	NPhDF-18-494
18	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლოკალიზირებული პლასტიკური არეებისა და პლასტიკური ზონის კვლევა, ბირთვულ ენერგეტიკაში და მრეწველობაში გამოყენებული მარტენსიტული კლასის Cr-იან ფოლადებში, დაბალციკლური დაღლილობითი დეფორმაციისას	2016-2019	თამაზ ეთერაშვილი	210 000 ლარი	დასრულებული	CARYS-19-297
19	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვირუსების ოპტიკური სპექტრომეტრიის ახალი მეთოდის შემუშავება (სპექტროვირ - 1)	31.07.2020 31.07.2021	პაატა კერვალიშვილი	246 800 ლარი	დასრულებული	№CARYS-19-297
20	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	კიბოს უჯრედების თვითრეგულირებადი (კიურის ტემპერატურით ლიმიტირებული) მაგნიტური	2018-2020	არჩილ ჭირაქაძე	ევროკავშირისა და რუსთაველის ფონდის ერთობლივი	დასრულებული	SRNSF-STCU #7089

		ჰიპერტერმისთვის ახალი ნაწარმების შექმნა და კვლევა.			დაფინანსება 28444 ევრო		
--	--	--	--	--	---------------------------	--	--

№	შესრულებული პროექტის დასახელება, მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	წელი	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებ ლები
1	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტი # N PhDF-18-494 – “ბლოკჩეინზე დაფუძნებული ბიომეტრიული საარჩევნო სისტემის დამუშავება და კვლევა”. ინფორმაციული ტექნოლოგიები	2018- 2020	პროფ. ა.ფრანგიშვილი, პროფ. ლ.იმნაიშვილი	დოქტორანტი ქეთევან ცომაია
<p>კვლევა მიეძღვნა საარჩევნო სისტემების სრულყოფის საკითხს. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ტრადიციული და ელექტრონული საარჩევნო სისტემები, ბიომეტრიული საარჩევნო სისტემები; ჩატარდა კრიტიკული ანალიზი აღნიშნული საარჩევნო სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოსავლენად; გამოიკვეთა არსებული საარჩევნო სისტემების განვითარების დინამიკა. არსებული საარჩევნო სისტემების დახვეწის მიზნით შემუშავდა ახალი საარჩევნო სისტემა, რომელიც საიმედო, სანდო და გაყალბებისგან დაცული არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ამომრჩევლის იდენტიფიცირებისა და სენსიტიური მონაცემების საიმედოდ შენახვის საკითხი. გარანტირებული იდენტიფიცირებისთვის გამოყენებულ იქნა ბიომეტრია, ხოლო მონაცემთა საიმედოდ შენახვისთვის ბლოკჩეინი. შესაბამისად შემუშავდა ბლოკჩეინზე დაფუძნებული ბიომეტრიული საარჩევნო სისტემის არქიტექტურა, პროტოკოლები, ალგორითმები და ფიზიკური მოდელი. მოხდა შემუშავებული საარჩევნო სისტემის ფიზიკური მოდელის ტესტირება ექსპერიმენტის სახით. ექსპერიმენტი წარიმართა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის 12 დეკემბერს,</p>				

ჩატარდა არჩევნების სიმულაცია. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 100-მა მონაწილემ. ასევე მათგანმა შეუფერხებლად შეძლო საკუთარი არჩევანის დაფიქსირება. აღსანიშნავია, რომ ხმის მიცემა ამომრჩეველს შეეძლო როგორც საარჩევნო უბანზე, ასევე დისტანციურად, ამისთვის წინასწარ მოხდა ამომრჩევლის კომპიუტერის აღჭურვა შესაბამისი პროგრამულ-აპარატურული საშუალებებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამომრჩეველს ჰქონდა არჩევნებში მის მიერ მიცემული ხმის გადამოწმების შესაძლებლობა. ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა, გამოიკვეთა შემუშავებული საარჩევნო სისტემის ეფექტურობა და საიმედოობა.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული ბლოკჩეინზე დაფუძნებული ბიომეტრიული საარჩევნო სისტემა მაქსიმალურად ამცირებს არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას, მისი რეალიზების შემთხვევაში შეიცვლება საზოგადოების მიდგომა არჩევნებისადმი: ეცოდინებათ რა, რომ არჩევნების შედეგები ვერ გაყალბდება, მათი არჩევნებში მონაწილეობის სურვილიც იმატებს.

შემოთავაზებული საარჩევნო სისტემის განვითარება შესაძლოა მოხდეს რამოდენიმე მიმართულებით. ის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დონის საარჩევნო პროცესების წარმართვის ელექტრონული სისტემების აგებისათვის, არა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით არჩევნების წარმართვისთვის, არამედ ლოკალური ხასიათის არჩევნებისათვის (მაგალითად, შუალედური არჩევნები), მუნიციპალური არჩევნებისათვის, ორგანიზაციის ლოკალური არჩევნებისათვის (მაგალითად, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები უნივერსიტეტის მასშტაბით), დახურული კენჭისყრისათვის, ღია კენჭისყრისათვის. მაშასადამე, იკვეთება შემუშავებული ბლოკჩეინზე დაფუძნებული ბიომეტრიული საარჩევნო სისტემის გამოყენების ფართო არეალი.

2	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. კიბერუსაფრთხოების ახალი გამოწვევები გლობალურ საინფორმაციო სივრცეში. კომპიუტერული და საინფორმაციო მეცნიერებები</p>	2018-2019	ნანი არაბული	ნანი არაბული
---	--	-----------	--------------	--------------

პროექტი “კიბერუსაფრთხოების ახალი გამოწვევები გლობალურ საინფორმაციო სივრცეში” წარმოადგენს სეზონურ სკოლას. საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ წარმართულ სასწავლო ღონისძიებებზე მსმენელებს შესაძლებლობა მიეცათ შეექმნათ სრული წარმოდგენა თანამედროვე ციფრულ საინფორმაციო სივრცეში არსებულ საფრთხეებზე როგორც გლობალური, ასევე ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. პროექტში მონაწილეობა მიიღო კიბერუსაფრთხოების სფეროთი დაინტერესებულმა თხუთმეტმა ახალგაზრდა მეცნიერმა. მათ

აიმაღლეს კვალიფიკაცია აღნიშნული სფეროს კვლევის მეთოდებზე, განუვითარდათ ტრანსფერული ინტერდისციპლინური თანამშრომლობის უნარ-ჩვევები და რაც ასევე მნიშვნელოვანია, უცხოელი ლექტორების ჩართვით განხორციელდა მათი ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.